ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თ. ერისთავის ქ. №5-ში მდებარე, შერეული ფუნქციის (საოფისე, კომერციული) მშენებარე შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე

დასკვნა

თბილისი
16. 08. 2012წ.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თ. ერისთავის ქ. №5-ში მდებარე შერეული ფუნქციის (საოფისე, კომერციული) მშენებარე შენობა მისი ტექნიკური მდგომარეობის დადგენისა და წარმოდგენილი კორექტირებული არქიტექტურულ-გეგმერებითა გადაწყვეტების მიზანშეწონილობის დასადგენად.

განსახილველი შენობა წარმოადგენს 6 სართულიან კარკასული ტიპის ნაგებობას გაბარიტული ზომებით გეგმაში (19.20 X 19.48)მ. შენობას აქვს მიწისქვეშა სართული (სარდაფი).

ნაგებობის კონსტრუქციულ სქემას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი: სვეტები კვეთით (40 X 40)სმ, რიგელები კვეთით (40 X 50)სმ. ნაგებობის ჰორიზონტალურ სიხისტეს უზრუნველყოფს სართულშუა მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილა სისქით 18სმ ორმაგი უწყვეტი არმირებით. საძირკვლები წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილით სისქით 50სმ.

დათვალიერების მომენტისათვის მთლიანად დასრულებული იყო რკინაბეტონის მზიდი კარკასის სამუშაოები და მიმდინარეობდა გარე შემომზღუდავი კედლების ამოშენება.

ვიზუალური დათვალიერებით განსახილველი ობიექტი ტექნიკური თვალსაზრისით იმყოფება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, კერძოდ არ შეინიშნება რაიმე სახის დეფორმაციები და ბზარწარმონაძმნები მის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებში.

წარმოდგენილი არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტებით (წითელი ხაზების დაზუსტების შედეგად) ხდება ა/1-3 ღერძებზე არსებული კონსტრუქციების დემონტაჟი, რომლის შედეგადაც ისინი განლაგდებიან ბ/1-3 ღერძების ზონაში.

აღნიშნულის განხორციელება შენობის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

1. ა-ბ/1-4 ღერძების ზონაში ყველა სართულზე მოეწყოს ხის განმტვირთავი დგარები.
2. მოხდეს საძირკვლის ფილაში ბ/1, ბ/2 და ბ/3 სვეტების არმატურის ანკერების ჩამაბრება-ჩაანკერება.
3. ა-ბ/1-3 ღერძების ზონაში გადახურვის რიგელებისა და ფილის დემონტაჟი მოხდეს ზედა სართულიდან ქვემოთ.
4. არსებულ რკინაბეტონის ელემენტებთან (რიგელები, გადახურვის ფილა) დაკავშირება მოხდეს საიმედო კვანძების მოწყობით.

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები ასახულ უნდა იქნას კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილში

ინჟინერ-კონსტრუქტორი
/ა. კორკოტაშვილი/
პირადი №01030030182
მობ. ტ. 599-18-86-52